S 85
1964/2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 15 (248) 1 ივნისი 1964 წელი

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

249. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის გამგებლობაში საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაცემის შესახებ.
250. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკრაინის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
251. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უზბეკეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

252. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. ბანიკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
253. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინორეჟისორ კ. ი. იარმატოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
254. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყ. შამურადოვის და ა. ვ. საზონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
255. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
256. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველ ვიცე-პრეზიდენტ აბდელ ჰაქიმ ამერისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
257. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დანიის მოქალაქეების ვიგო ლინდუმის და ლილიან ლინდუმის მედლებით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

258. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრების ვ. დ. ლაგუტინის, მ. პ. მასლენიკოვის, გ. მ. სუეტინის, ი. ს. ჩისტოვის და მოსკოვის ოლქის კაშირას ვაჭრობის განყოფილების მაღაზიის მოლარის ა. პ. დედკოვას მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

259. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაზანის სამედიცინო ინსტიტუტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

260. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. კ. სუდრაბკალნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

261. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ვ. სნეჭნევსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

262. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. რ. მიტრონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

263. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ პ. მ. სარაჯიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

264. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გ. მ. ფრანკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

265. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

266. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ ტყიბულის ლენინის № 249 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ.

267. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.

268. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.

განყოფილება მეორე

269. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

270. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

271. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

272. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ჰ. ა. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

273. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ რ. კ. ქორქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

274. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკრაინელ პოეტ ა. ნ. ნოვიცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

275. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ფ. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

276. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინორეჟისორ მ. ე. ჭიაურელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

277. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ე. ჯაყელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

278. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

279. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ლ. აბაშიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივ კომისიაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

249 სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის გამგებლობაში საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაცემის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის თევზის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური საწარმოო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს ნუსხა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც უნდა გადაეცეს ამ კომიტეტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 მაისი.

№ 2496-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

250 უკრაინის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1964 წლის 1 იანვრიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 მაისი.

№ 2504-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 19 თებერვლის ბრძანებულებისა „უკრაინის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

ნუსხა

სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინერო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 184).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

251 **უზბეკეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ**

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1964 წლის 1 იანვრიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 მაისი.
№ 2505-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 19 მაისის ბრძანებულებისა „უზბეკეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

ნუსხა

სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინერო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 184).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

252 **ამხ. ნ. ვ. ბანიკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ყაზახეთის კპ ყარაგანდის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნიკოლოზ ვასილის ძე **ბანიკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 მაისი.
№ 2489-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

253 **კინორეჟისორ კ. ი. იარმატოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კინორეჟისორი კამილ იარმატის ძე **იარმატოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 მაისი.
№ 2490-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

254 **ყ. შამურადოვის და ა. ვ. საზონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის **დაჯილდოვდნენ:**

შრომის წითელი დროშის ორდენით:

თბომავლის მემანქანე ყული **შამურადოვი.**
თბომავლის მემანქანის თანაშემწე ანატოლ ვასილის ძე **საზონოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 მაისი.
№ 2491-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

255 არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

აღინიშნოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ-აბდელ ნასერის თვალსაჩინო მოღვაწეობა თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, კოლონიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი განსაკუთრებული დამსახურება იმპერიალისტური აგრესიის მოგერიებაში 1956 წელს, მისი დიდი დამსახურება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობის საქმეში, მიღებულ იქნეს მხედველობაში მისი თვალსაჩინო როლი საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, რაც ყველაზე მკაფიოდ აისახა ასუანის გრანდიოზული მაღლივი კაშხალის მშენებლობაში, და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს **გამალ აბდელ ნასერს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 მაისი.
№ 2492-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

256 არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველ ვიცე-პრეზიდენტ აბდელ ჰაქიმ ამერისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

აღინიშნოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის აბდელ ჰაქიმ ამერის თვალსაჩინო მოღვაწეობა თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, კოლონიალიზმის ბა-ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი დამსახურება იმპერიალისტური აგრესიის მოგერიებაში 1956 წელს, მიღებულ იქნეს მხედველობაში მისი თვალსაჩინო როლი საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, რაც ყველაზე მკაფიოდ აისახა მდინარე ნილოსზე გრანდიოზული მაღლივი კაშხალის მშენებლობაში, და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველ ვიცე-პრეზიდენტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბდელ ჰაქიმ ამერს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 მაისი.
№ 2493-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

257 დანიის მოქალაქეების ვიგო ლინდუმის და ლილიან ლინდუმის მედლებით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ოფიცრის სიცოცხლის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის დანიის მოქალაქენი ვიგო ლინდუმი და ლილიან ლინდუმი დაჯილდოვდნენ მედლებით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 მაისი.
№ 2494-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

258 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრების ვ. დ. ლაგუტინის, მ. პ. მასლენიკოვის, ბ. მ. სუეტინის, ი. ს. ჩისტოვის და მოსკოვის ოლქის კაშირას ვაჭრობის განყოფილების მაღაზიის მოლარის ა. პ. დედკოვას მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სოციალისტური საკუთრების დაცვის დროს გამოჩენილი თავგანწირული მოქმედებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდნენ:

მედლით „მამაცობისათვის“

1. ანა პეტრეს ასული **დედკოვა.**
2. ვიაჩესლავ დიმიტრის ძე **ლაგუტინი.**
3. მიხეილ პეტრეს ძე **მასლენიკოვი.**
4. გენადი მიხეილის ძე **სუეტინი.**
5. იური სერგის ძე **ჩისტოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 მაისი.
№ 2495-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

259 ყაზანის სამედიცინო ინსტიტუტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მედიცინის მეცნიერების განვითარებაში, კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაარსების 150 წლის აღსანიშნავად **ყაზანის სამედიცინო ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 მაისი.
№ 2499-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

260 მწერალ ა. კ. სუდრაბკალნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი არვიდ კარლის ძე **სუდრაბკალნი** (იან სუდრაბკალნი) დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 16 მაისი.
№ 2500-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

261 პროფესორ ა. ვ. სნეჟნევსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პროფესორი ანდრია ვლადიმერის ძე **სნეჟნევსკი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 მაისი.
№ 2506-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

262 ამხ. ნ. რ. მიტროფანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიული და საბჭოთა ორგანოებისათვის კადრების მოსამზადებლად გაწეული მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის რექტორი ამხ. ნიკოლოზ რომანის ძე **მიტროფანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 მაისი.
№ 2510-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

263 პროფესორ პ. მ. სარაჯიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით პროფესორი პეტრე მიხეილის ძე **სარაჯიშვილი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 მაისი.
№ 2511-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

264 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გ. მ. ფრანკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბიოლოგიური ფიზიკის დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გლებ მიხეილის ძე **ფრანკი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 23 მაისი.
№ 2515-VI.

№ 15 (248)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ასუანის მაღლივი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობის დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 12 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის 300 სპეციალისტი და მუშა, რომელთაც თავი გამოიჩინეს ასუანის მაღლივი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობაზე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის მინისტრი მუჰამედ სიდკი სოლიმანი, ასუანის მაღლივი კაშხალის სამმართველოს დირექტორის თანაშემწე და საგვირაბო სამმართველოს უფროსი — ინჟინერი აბდელ აზიმ სიდკი ტურკი, ფირმა „არაბეთის კონტრაქტორების“ გენერალური დირექტორი ინჟინერი გამალ ედ-დინ ალი ბატრაუი, საგვირაბო სამმართველოს ინჟინერი აბდელ სალამ ისმაილ აბუ ზეიდი, ფირმა „არაბეთის კონტრაქტორების“ მთავარი მექანიკოსი ინჟინერი აჰმედ აბდელ რახმან ოოფი და „ეგვიპტის რკინაბეტონის კომპანიის“ (ფირმა „მისრ კონკრიტ“) გენერალური დირექტორის მოადგილე ინჟინერი მუჰამედ სამი ბიჰეირი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 20 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 45, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 79 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 150 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

* *
*

არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის დახმარებით მშენებარე ასუანის მაღლივი კაშხალის პირველი რიგის აგების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 12 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების 153 სპეციალისტი, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ასუანის მაღლივი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობის დროს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: მთავარი საბჭოთა ექსპერტი ა. პ. ალექსანდროვი, მთავარი საბჭოთა ექსპერტის მოადგილეები ვ. გ. მოროზოვი, გ. ა. რადჩენკო, სამონტაჟო სამუშაოთა ხელმძღვანელი ა. ნ. პეტრენკო და ტექნიკოს-ოპერატორი ვ. ე. სერდიუკოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 13 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 30, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 47 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 58 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

1964 წლის 26 აპრილს გაიმართა კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები რსფსრ როსტოვის ოლქის ტაგანროგის № 301 საარჩევნო ოლქში, უკრაინის სსრ ივანე ფრანკოს ოლქის ნადვორნაიას № 556 საარჩევნო ოლქში და უზბეკეთის სსრ ყარაგანდის ოლქის ჯეზკაზგანის № 679 საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან:

ტაგანროგის № 301 საარჩევნო ოლქისაგან — ამხ. ირაიდა მიხეილის ასული **დოდონოვა**, ტაგანროგის კომბაინის ქარხნის მხეხავი;

ნადვორნაიას № 556 საარჩევნო ოლქისაგან — ამხ. ვასილ სტეფანეს ძე **პერევიაზკო**, ნავთობსარეწი სამმართველოს „ნადვორნაიანეფტის" ნავთობმოპოვების ოპერატორი;

ჯეზკაზგანის № 679 საარჩევნო ოლქისაგან — ამხ. შაფიკ ჩოკინის ძე **ჩოკინი**, უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

უკრაინის სსრ

დასახლებული პუნქტების მიკუთვნება მუშათა დასახლების კატეგორიისათვის

დონეცკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამრეწველო) საბჭოს აღმასკომის 1964 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით ენაკიევოს რაიონის სოფლები ბოჟკოვკა და უბეჟიშჩე განეკუთვნა მუშათა დასახლების კატეგორიას.

1964 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით გადარქმეულია მუშათა დასახლებები: ბოჟკოვკა — **დრუჟნოედ**, უბეჟიშჩე — **პრიბრეჟნოედ**.

უზბეკეთის სსრ

ილიჩოვსკის რაიონის შექმნა

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 30 აპრილის ბრძანებულებით დაკმაყოფილებულია სირ-დარიის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა, რომ ოლქში შეიქმნას **ილიჩოვსკის** რაიონი, რომლის ცენტრი იქნება ქალაქი **იანგიერი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

265 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1964 წლის 19 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

266 ქალაქ ტყიბულის ლენინის № 249 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 99 მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები, ნაცვლად გასული დეპუტატისა, ქალაქ ტყიბულის ლენინის № 249 საარჩევნო ოლქში კვირას, 1964 წლის 5 ივლისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

267 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საკავშირო-რეს-პუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

268 საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 მაისი.

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

269 საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაარსების ორმოცწლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

270 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დაარსების ორმოცწლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. თინათინ ევგენის ასული **მექანარიშვილი** — საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის განყოფილების გამგე.

2. თინათინ ერმილეს ასული **ნაკაშიძე** — საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მთავარი ბიბლიოგრაფი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

271 საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დაარსების ორმოცწლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარისა:**

1. თამარ ილარიონის ასულ **იმერლიშვილს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის განყოფილების გამგეს.

2. ალექსანდრა მელიტონის ასულ **კენჭაძეს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის განყოფილების გამგეს.

3. ალექსანდრე ილარიონის ძე **შანიძეს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორის ყოფილ მოადგილეს, ამჟამად გამომცემლობა „ცოდნას“ რედაქტორს.

4. თამარ გრიგოლის ასულ **ჩუბინიძეს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის განყოფილების გამგეს.

5. ეკატერინე ვლადიმერის ასულ **ჩხეტიანს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის უფროს ბიბლიოგრაფს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

272 მწერალ ჰ. ა. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ჰაიდარ ალის ძე **აბაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

273 მწერალ რ. კ. ქორქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი როდიონ კალენიკეს ძე ქორქია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

274 უკრაინელ პოეტ ა. ნ. ნოვიცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების უკრაინულ ენაზე თარგმნისა და მათი პოპულარიზაციის საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით უკრაინელი პოეტი ალექსი (ოლექსა) ნიკოლოზის ძე **ნოვიცკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

275 ამხ. ვ. ფ. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში და საკურორტო მშენებლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ბორჯომის კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვახტანგ ფილიმონის ძე **ხუციშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 21 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

276 კინორეჟისორ მ. ე. ჭიაურელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კინემატოგრაფიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით კინორეჟისორი მიხეილ ედიშერის ძე **ჭიაურელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

277 ამხ. ვ. ე. ჯაყელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო მეურნეობის დარგში და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. ვახტანგ ერმისის ძე **ჯაყელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 23 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

278 ამხ. ს. ს. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დირექტორი ამხ. სერგო სოლომონის ძე **დოლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 23 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

279 **პროფესორ ი. ლ. აბაშიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

სოფლის მეურნეობის დარგში ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს იასონ ლევანის ძე **აბაშიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1964 წლის 25 მაისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. რ. ხვედელიანის** მოხსენება ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, გორის და ბათუმის ზოგიერთ საწარმოში შრომის დაცვის და სამრეწველო სანიტარიის მდგომარეობის შესახებ.

საკითხის ორგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: **შ. ბეზარაშვილმა, ვ. ჭავჭანიძემ, ნ. ჟვანიამ, ვ. ებრალიძემ** და სხვებმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც გააჩნდათ შემოწმებულ საწარმოებს შრომის დაცვასა და სამრეწველო სანიტარიაში.

კომისიამ დაადგინა საკითხი განსახილველად დააყენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმისა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ბუაჩიძის** მოხსენება ახალგაზრდა მეცნიერმუშაკების მომზადების მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა **ვ. ჭავჭანიძემ**, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა **ე. ანდრონიკაშვილმა**, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში **დ. კერესელიძემ**, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა **ა. ბუხნიკაშვილმა** და სხვებმა.

კომისიამ მიიღო დადგენილება საკითხი განსახილველად დააყენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა დეპუტატ **პ. ბოგდანოვას** მოხსენება ქალაქ რუსთავის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა **ყ. ჩალაძემ**, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **შ. შარაბიძემ**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ო. დვალმა**, ამავე სამმართველოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსმა **მ. ბალდავაძემ**, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **დ. მამულაძემ** და სხვებმა.

კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.